

მარინე ტურავა¹

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.29>

ნაციონალური ნარატივი

(აკა მორჩილაძის „obOle“)

აბსტრაქტი. ფრანგები ერთმანეთისაგან მიჯნავენ ისტორიასა და მეხსიერებას, პირველი წიგნებში ინახება, მეორე ცოცხალ ხსოვნას ემყარება. „ობოლეში“ ორივეა - ისტორიაცა და მეხსიერებაც. მთავარი პერსონაჟი - ირაკლი - ისე იხსენებს უძველეს ამბებს, როგორც მეხსიერების სალაროში შენახულს, გადახარშულ-გადამუშავებულს. ბავშვობიდან ნანახი და მოსმენილი ერთბაშად ამოტივტივდება მის გონებაში. ძველი საგვარეულო სახლი მოგონებების სკივრად იქცევა. მოქმედება დასავლეთ საქართველოში, ლეჩხუმში მიმდინარეობს, მურის ციხეც აქ არის და მაქსიმე აღმსარებლის საფლავიც. ლეჩხუმში ძალიან ძლიერია, ერთი მხრივ, სვანეთის, მეორე მხრივ კი, იმერეთის ზეგავლენა. ქართული ლიტერატურის რუკაზე კიდეც ერთი ტოპოსი, ლოკალი მოიწიშნა, დამახასიათებელი მეტყველებითა და ხასიათებით, ყოფით, დეტალებით. მოქმედების ადგილი მკვეთრად ტოპონიმიზებული, დრო კი განსაზღვრულია.

მწერალი მულტიპერსპექტიულ თხრობას იყენებს, „ობოლეშიც“ ჭეშმარიტების ინდივიდუალურ, სუბიექტურ კონსტრუქციას გვთავაზობს, თუმცა, სხვა რომანებისაგან განსხვავებით, აქ მეტია განზოგადება, ვრცელი და ღრმა კონტექსტი.

ირაკლისა და მისი ძმის, ნიკას ერთგვარი „კონკურენცია“ მთელ ტექსტს გასდევს - ნიკა უფრო წარმატებულია, ამერიკაში ცხოვრობს, ფულიც მეტი აქვს, პაპისეულ მამულში ახალი სახლი აიშენა, თუმცა ეს მაინც კლანია (შოტლანდიურ არქეტიპში გვარი, მოდგმა). ირაკლის ყველა ნათესავი, რომელიც

¹ **მარინე ტურავა**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დაბაში ხვდება, სწორედ ამ კლანურ ერთიანობას განასახიერებს: შესაძლოა, ნაკლებად მყარს, ვიდრე ადრე, მაგრამ მაინც თვალშისაცემსა და მნიშვნელოვანს. სწორედ ამ თემას შემოაქვს ტექსტში სოციალური დისკურსი, რომელიც აკა მორჩილაძისთვის არ არის უცხო. პერსონაჟთა ამ ანსამბლში გამორჩეულია ბაბუცა მამიდა, სწორედ ის არის კერიის, ადათისა და სიყვარულის მცველი. ტიმოთეს მემკვიდრეების კლანურობა მხოლოდ ცოცხლებით არ შემოიფარგლება, მათი ერთიანობა მათ მიცვალებულებშია, მათი სასაფლაო უფრო ცოცხალია, ვიდრე ყველა სასაფლაო, ერთად აღებული. სწორედ ამგვარი დეტალების გამო ეწოდა წიგნს *ნამდვილი ქართული ამბავი*. ამასთან, ეს არის გასული საუკუნის 90 იანი წლების, როგორც თავად ავტორი უწოდებს, „სახალხო სროულობის“ ეპოქის, პოლიტიკური წიაღსვლების, მხედრიონელთა საქმეების შეუღამაზებელი სურათი. „ქართველმა თუ წარსულის ამბები არ გადმოალაგა, დღევანდელისას რას ამბობს, ვერ გაუგებ“ - თავისივე სიტყვებს ამართლებს მწერალი. „ყოფითად, დიდი აღზნებისა და სადღეგრძელოების გარეშე“ მოყოლილი ამბების ოსტატია აკა მორჩილაძე.

კვლევის სიახლე სწორედ ეს არის ერთიანად, კომპლექსურად, კომპოზიციურ-მხატვრული თვალსაზრისით რეფლექსირდეს ჩვენი ეპოქის გამორჩეული ავტორის გამორჩეული მხატვრული ტექსტი.

საკვანძო სიტყვები: აკა მორჩილაძე, „ობოლე“, ნაციონალური ნარატივი, მულტიპერსპექტიურობა, მეხსიერება, კლანურობა, ნაციონალურობა.

Marine Turava² National Narrative (Aka Morchiladze's "obOle")

Abstract. The French distinguish between history and memory: the former is preserved in books, while the latter relies on living recollections. In *obOle*, both history and memory coexist. The main character, Irakli, recalls ancient events as though they are stored in the vault of memory, reprocessed and reinterpreted. Experiences from his childhood - both seen and heard - suddenly resurface in his mind. The old family home transforms into a chest of memories. The action takes place in western Georgia, in Lechkhumi, where the Muri Fortress and the tomb of Maximus the Confessor are located. Lechkhumi is strongly influenced by both Svaneti to the north and Imereti to the south. A new topos, a local space, is marked on the map of Georgian literature, characterized by distinct speech patterns, traits, daily life, and details. The location of the action is sharply toponymized, and the time is clearly defined.

² **Marine Turava**, Doctor of Philology, Associate Professor at Sokhumi State University.

The writer uses a multiperspective narrative and, in *obOle*, presents an individual, subjective construction of truth. However, unlike in other novels, this work features greater generalization, with a broader and deeper context.

The "competition" between Irakli and his brother, Nika, runs throughout the entire text—Nika is more successful, lives in America, has more money, and has built a new house on the ancestral estate. However, he still remains part of the clan (a Scottish archetype for a family or lineage). Every relative of Irakli's whom he meets in the village embodies this clan unity: perhaps it is less solid than it once was, but it remains conspicuous and significant. This theme introduces a social discourse into the text, which is not unfamiliar to Aka Morchiladze.

In this ensemble of characters, Babutsa, the aunt, stands out as the guardian of tradition, customs, and love. The clan unity of the descendants of Timothy is not limited to the living alone; their unity also lies in their deceased, with their cemetery being more alive than any other cemetery when considered as a whole. It is precisely these kinds of details that give the book its title, *A Real Georgian Story*. Moreover, it reflects the 1990s era, which the author himself describes as the "epoch of popular turbulence," an unvarnished picture of political upheavals and the deeds of the Mchedrioni militia.

"As a Georgian, if you haven't unpacked the stories of the past, how can you understand the present?"- the writer justifies his own words. Aka Morchiladze is a master of telling stories "in everyday terms, without great exaltation or toasts."

The novelty of the research lies precisely in the fact that it reflects, in a unified and complex manner, from a compositional and artistic perspective, the remarkable literary text of a distinguished author of our era.

Keywords: Aka Morchiladze, "obOle", National Narrative, Multiperspectivity, Memory, Clannishness, Nationalism.

შესავალი. აკა მორჩილაძე ერთ-ერთი პირველია იმ ცნობილ მწერლებს შორის, რომელთათვისაც მაღალი ლიტერატურა, თავისი დიადი ჩანაფიქრებითა და მაღალი სტილით, „მოკვდა“. ის ლიტერატურას სრულიად განსხვავებულ, არასახელმწიფოებრივ, არაიდეოლოგიურ ფუნქციებს აკისრებს და წერს როგორც თანამედროვე ევროპული თუ ამერიკული ბესტსელერების ავტორი. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, არ ვიცი, ქართული ლიტერატურის ტრადიციების გაგრძელებაა თუ არა, არც ის ვიცი, როგორ უნდა წერდეს დღეს ქართველი მწერალი, მაგრამ ფაქტია, რომ აკა მორჩილაძე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ავტორია თანამედროვე საქართველოსი და ამას უხმაუროდ ახერხებს. ინტელექტუალისათვის დამახასიათებელი მსუბუქი ირონია, მოვლენებისაგან, სამშობლოსაგან ფიზიკური დისტანცირებაჲ კი, ხელს უწყობს მწერლის ერთგვარი იდუმალი იმიჯის შექმნას, რაც ნიჭზე არანაკლებ საჭიროა.

აკა მორჩილაძეს არასდროს ავიწყდება ლიტერატურის მთავარი დანიშნულება - მკითხველის გართობა, რელაქსირება, უფრო მეტიც, მისი ჩართულობის ხარისხის გაზრდა, თანამონაწილეობაც კი. სუგესტიისაგან საკმაოდ შორსაა, მწერლობასაც როგორც ჩვეულებრივ პროფესიას ისე უდგება. „დიდი მწერლების შესახებ თუ წაიკითხავ, დილით ადრე უნდა ადგე და დაიწყო წერა, ერთი 6 საათი მაინც უნდა იმუშაო. როგორც ევროპის საშუალო დღეა, დაახლოებით ისე. მე ასე არ გამომდის, ხშირად მეტსაც ვმუშაობ. როცა სცენარებს ვწერ, აი მაშინ დამეხმავს ვათენებ. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთდროულად ვმუშაობ ორ ნაწარმოებზე, ეს ძირითადად მაშინ, როცა შეკვეთით მიწევს წერა, სამსახურივითაა“. ამავე ინტერვიუში აღიარებს: „ჩვენნაირად რომანებს მსოფლიოში არავინ წერს, სულ სხვანაირად ვწერთ, მეტი თავისუფლება გვაქვს წერის დროს. იქ ამდენი ფუფუნება არ აქვთ, უფრო ზუსტია ხოლმე ყველაფერი“ (მორჩილაძე, 2021).

დისკუსია. აკა მორჩილაძის რომანი „obOle“ 2011 წელს გამოსცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ.“ სხვა რომანებისგან განსხვავებული სათაურით (უცხოური, სავარაუდოდ, ფრანგული დაწერილობით), ამბით, პერსონაჟით, სათქმელით obOle, ნამდვილად, დამაინტრიგებელი ნაწარმოებია. სხვა რომანების მსგავსად, საკმაოდ კარგად იკითხება. ავტორი რომ საუკეთესო მთხრობელია, არავისთვის არ არის სიახლე.

რომანის სწორად შერჩეულ ბუნდოვანებაშეპარულ სათაურს, ასევე ბუნდოვანი, მე ვიტყვოდი, გაუგებარი ეპიგრაფი უძღვის, ფრაგმენტი მხატვრული ფილმიდან „შესანიშნავი შვიდეული“ - რობერტისა და ჰენრის დიალოგი. ვერც კითხვის დასრულების შემდეგ, ვერც მეორედ წაკითხვისას მისი მხატვრული ფუნქცია ბოლომდე ვერ გავიგე. წიგნი ძალდაუტანებლად, ბანალურად იწყება, რაც ახასიათებს თანამედროვე ლიტერატურას, მათ შორის, აკა მორჩილაძის რომანისტიკასაც. აქ ვერ შეხვდებით დიდი ეპოსების მსგავს დრამატულ პრელუდიებსა და ექსკურსებს, რაც მკითხველის მოლოდინს, ეზიაროს რაღაც დიადს, მინიმუმამდე ამცირებს. მთხრობელი/ნარატორი პერსონაჟია, რომელიც პირველ პირში ჰყვება საკუთარ თავგადასავალს და კიდევ უფრო უახლოვდება მკითხველს. აკა მორჩილაძის მხატვრული კონცეფცია, ძირითადად, თავისუფალ ასოციაციებს ემყარება, აქ ნაკლებად არის ლოგიკური კავშირები, რასაც მიჩვეულია ტრადიციულ ტექსტებზე აღზრდილი მკითხველი. დუბროვნიკელი ტაქსისტის რუსული ფრაზა იმის შესახებ, რომ „იუგოსლავია „პატარა ამერიკაა“, რამდენჯერმე მეორდება ტექსტში, მიზეზშედეგობრივი კავშირები, დეტერმინულობა, წინასწარი გათვლა „ობოლეს“ გამოარჩევს სხვა რომანებისაგან (მორჩილაძე, 2011: ყველა ციტატა ამ წიგნიდანაა გამოყენებული).

დასაწყისში ირაკლი ნიჰილისტად, ქართველი კაცებისთვის დამახასიათებელი ინფანტილურობით წარმოგვიდგება. უღელტეხილის გადალახვის შემდეგ თითქოს სხვანაირად იწყებს ფიქრს, სუნთქვას მურის ციხისთავების მთამომავალი, თითქოს ყველა წინაპარი ერთბაშად იღვიძებს და ცოცხლდება მასში. ძველი, საგვარეულო სახლი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ შეგრძნებებს.

ფრანგები ერთმანეთისაგან მიჯნავენ ისტორიასა და მახსოვრობას/მეხსიერებას, პირველი წიგნებში ინახება, მეორე ცოცხალ ხსოვნას ემყარება. ამ წიგნში ორივეა - ისტორიაცა და მეხსიერებაც. ირაკლი ისე იხსენებს უძველეს ამბებს, როგორც მეხსიერების საღარომში შენახულს, გადახარშულ-გადამუშავებულს. ბავშვობიდან ნანახი და მოსმენილი ერთბაშად ამოტივტივდება მის გონებაში. ძველი საგვარეულო სახლი მოგონებების სკივრად იქცევა. მოქმედება დასავლეთ საქართველოში, ლეჩხუმში მიმდინარეობს, მურის ციხეც აქ არის და მაქსიმე აღმსარებლის საფლავიც. ლეჩხუმში ძალიან ძლიერია, ერთი მხრივ, სვანეთის, მეორე მხრივ კი, იმერეთის ზეგავლენა. ქართული ლიტერატურის რუკაზე კიდევ ერთი ტოპოსი, ლოკალი მოინიშნა, დამახასიათებელი მეტყველებითა და ხასიათებით, ყოფით, დეტალებით. რომანში მოქმედების ადგილი მკვეთრად ტოპონიმიზებული, დრო კი განსაზღვრულია. ეს დეტალიც ზრდის ადვილად აღქმით მიღებულ სიამოვნებას.

წიგნში ნაკლებადაა პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ინტერტექსტუალობა, თუმცა მინიშნებები და გადაძახილები სხვა ტექსტებთან მაინც აქტუალურია. „ახლა თავიდან უნდა მოვყვე, რომ გაიგოთ. იმიტომ, რომ ქართველი ვარ და ქართველმა წარსულის ამბები თუ არ გადმოაღაგა, დღევანდელისას რას ამბობს, ვერ გაუგებ“. ირაკლიც თავისი დიდი ოჯახის თავგადასავალს იწყებს ხსენებით ბაბუამისის მამის, ტიმოთესი, რომელიც „ერთი რამ კარგი „ხარაქტერი“ იყო“. მარკესის წიგნებს გამოადგებოდა იმისი ამბებიო, გვეუბნება ავტორი, რომელსაც, მარკესისაგან განსხვავებით, არ აქვს გამიზნული ეპიკური სახეების დახატვა, მაგრამ მისი ტიმოთე სწორედ ასეთია. მისგან იწყება მურისციხელთა საგას აღწერა, რაც XX საუკუნის საქართველოს ისტორიას გამოსდევს. პერსონაჟთა ცხოვრებით აკა მორჩილაძე გასული ასწლეულის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმიანება. „ობოლეში“ ადამიანთა ბედისწერას ეპოქის ქარტეხილები განსაზღვრავს, საბედისწერო მეოცე საუკუნის, რომლის მხატვრული რეფლექსიაცაა რომანი.

ერთ-ერთი უმთავრესი სათქმელი ისიცაა, რომ ირაკლისნაირ, ერთი შეხედვით, გულგრილ, დინებას მიდევნებულ ადამიანშიც კი, რომლისთვისაც პაპისეულ სახლში დამოუკიდებლად ჩასვლა და მოძველებული სახურავის შეკეთებაც კი ძნელია, გენეტიკური კოდი მაინც ძალიან ძლიერია. მიუხედავად

იმისა, რომ წინაპართა სიმხნევე დაუკარგავს, მურის დანახვა პერსონაჟის გადასხვაფერებას იწვევს. XX-XXI საუკუნეების მოდური ნარატივი დიდი ეპოქების, გმირობების აღსასრულის შესახებ აკა მორჩილადის რომანისტიკაში, მათ შორის, „ობოლემიც“, აქტუალურია. ჰომეროსის ოდისევსით მთაგონებული ჯოისის ულისე - ერიკ ემანუელ შმიდტის ულისე ბადდადიდან - პერსონალურ ღირებულებათა დევალვაციის საუკეთესო, ლამის კლასიკური სქემაა და მას ვერც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მწერალი ვერ გაექცევს).

ირაკლი ტიმოთეს აჩრდილიდაა, მისი ერთგვარი პაროდია. ტიმოთე ნამდვილი მურისციხელი იყო, უმძიმეს წლებში ურთულეს გადაწყვეტილებებს იღებდა, მოვლენების ეპიცენტრში იყო, მხოლოდ დიდ ოჯახს კი არა, საქვეყნო საქმეებსაც შველოდა და ციხესიმაგრედ ქცეულ სახლში მამულის მომვლელად, ბატონ/პატრონად რჩებოდა. ტიმოთე განსაზღვრავდა, ვინ უნდა შეეფარებინა, ვის დახმარებოდა და ვის შებრძოლებოდა, ვინ მტერი იყო და ვინ - მოყვარე.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ტიმოთეს მწერლური ნიჭის ხაზგასმაც: „ხშირად დღიურებსა და მოგონებებსაც რამდენიმე პირად და რამდენიმე რვეულში წერდა“, ჩანაწერები მთელ სანათესაოშია მიმოფანტული. ირაკლიმაც აქაური ამბების უმრავლესობა მონათხრობით კი არა, სწორედ ტიმოთეს რვეულებში ამოკითხულიდან იცის. ნაწერების უმრავლესობა მას აქვს თბილისში. ამ მხრივ ირაკლისა და დიდ ბაბუას შორის გენეტიკური კავშირი, ჰომეოსტაზი არ დაკარგულა. შეიძლება ის არ ახსოვდეთ, შუქის გადასახადისა რამდენი ჩარიცხეს წინა თვეში, მაგრამ ა მ ბ ა ვ ი კი ახსოვთ, „სრულიად აუტანელი ღებლებით, ყოველი თმის ღერის განლაგებით და სხვა ასეთი იდიოტობებით“ - ესეც ამ ოჯახის ნიშანია, მრავალთაგან საყურადღებო.

„რადაც ეგეთია, ჩამოსვლა არ შემიძლია, თუ ჩამოვალ და წასვლა მინდა, მაგრამ ასე არაფერი მიყვარს და მერგება“ - ყველა ჩვენგანის განცდაა არეკლილი მწერლის/რომანის გმირის ამ სიტყვებში, ზუსტადაა გამოხატული ჩვენი ნაციონალური ნარატივი. „წარსულის არ მეშინია, იმიტომ, რომ ქართველი ვარ. მომავლისა არაფერი ვიცი, იმიტომ, რომ ქართველი ვარ. სისუფელი-სთვის მოვკვდები, იმიტომ, რომ ქართველი ვარ. წმინდა გიორგი მეყვარება, ისე, რომ არ ვიცი ვინ არის, იმიტომ, რომ ქართველი ვარ. საშინელ ტყუილებს ვიტყვი, იმიტომ, რომ ქართველი ვარ. და უცებ, სიცოცხლის ერთ წამს, ვიქნები ყველაზე ოქრო, მართალი და სასურველი, იმიტომ, რომ ქართველი ვარ“. ამ პასაჟში, ცხადია, „კაცია-ადამიანის?!“ უცვლელი პარადიგმის ამოცნობაც ადვილად შეიძლება. ილია თათქარიძეების დახატვით „საზოგადო ქირის“ მხილებას ცდილობს, აკა მორჩილადესთანაც გამოკრთება ეს „ქირი“ (რომე-

ლიც იქნებ სულაც არ არის ჭირი), მაგრამ განსხვავებული რაკურსითა და მიზანდასახულობით.

ირაკლი ერთდროულად არის ცინიკოსიცა და იდეალისტიც, თითქოს გამიჯნული აქვს დაცინვა/ირონიისა და დანდობა/მოწონების სივრცეები. *ობოლესთან* მისი დამოკიდებულება კი, სრულიად გამორჩეულია: ეს ერთი ნახვით შეყვარებაა, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება. ვფიქრობ, სწორედ ეს ხაზია ყველაზე მოგებიანი, სწორი, აკა მორჩილადის მთავარი მიგნება, რომელიც სათაურიდან ფინალურ სცენამდე დაუმარცხებლად „მუშაობს“, მხოლოდ გემოვნებიან ავტორს შეუძლია ჩამონგრეულ სხვენში ნაპოვნი ძველი კაჟიან/სადაფიანი თოფი ჯერ დიდი ხნის მანძილზე მიუწვდომელ ძმად და მეგობრად წარმოგვიდგინოს, მერე კი - საყვარელ ქალად, მისადმი ლტოლვა კი, ლამის ფროიდისეული სიზმარ/ხილვით დაასრულოს - „რამხელა შეღავათია, თოფი რომ თოფი არ გეგონება.“ ირაკლი თითქოს თავის ვერმოხელთებულ, „გასხლტომილ სიყვარულებს“ ამოათრევს ფიქრებიდან და *ობოლეს* გადააფარებს, თუმცა დიდად „გადასაფარებელი“ არც არაფერი აქვს.

ირაკლისა და მისი ძმის, ნიკას ერთგვარი „კონკურენცია“ მთელ ტექსტს გასდევს - ნიკა უფრო წარმატებულია, ამერიკაში ცხოვრობს, ფულიც მეტი აქვს, პაპისეულ მამულში ახალი სახლი აიშენა, თუმცა „ძმების ქონება რამ გაყო?!“ ეს მაინც კლანია (შოტლანდიურ არქეტიპში გვარი, მოდგმა). ვარლამიე, ნათელიე, ბაბუციე, კოწო, ირაკლის ყველა ნათესავი, რომელიც დაბაში ხვდება, სწორედ ამ კლანურ ერთიანობას განასახიერებს: შესაძლოა, ნაკლებად მყარს, ვიდრე ადრე, მაგრამ მაინც თვალშისაცემსა და მნიშვნელოვანს. სწორედ ამ თემას შემოაქვს ტექსტში სოციალური დისკურსი, რომელიც აკა მორჩილადისთვის არ არის უცხო. „ა, გახედე ამ ჩაყოლებაზე ტიმოთეის ვართ ყველა და ამდენ წვალებაში და უბედურებაში კიდე ვართ და ვიქნებით კიდე.“ პერსონაჟთა ამ ანსამბლში გამორჩეულია ბაბუცა მამიდა, სწორედ ის არის კერიის, ადათისა და სიყვარულის მცველი. ტიმოთეს მემკვიდრეების კლანურობა მხოლოდ ცოცხლებით არ შემოიფარგლება, მათი ერთიანობა მათ მიცვალებულებშია, მათი სასაფლაო უფრო ცოცხალია, ვიდრე ყველა სასაფლაო, ერთად აღებული. „ერთი მხრივ, სასაფლაო არაფერი არ არის, მეორე მხრივ, იქ ყველაფერია.“ ბაბუცას არ უნდა „პაპიროსის ნაკიდები სპიჩკით“ აანთონ სანთელი საფლავებზე. სწორედ ამ პასაჟების, ამგვარი დეტალების გამო ეწოდა ამ წიგნს *ნამდვილი ქართული ამბავი*. ამასთან, ეს არის გასული საუკუნის 90 იანი წლების, როგორც თავად ავტორი უწოდებს, „სახალხო სროულობის“ ეპოქის, პოლიტიკური წიაღსვლების, მხედრიონელთა საქმეების შეულამაზებელი სურათი. „ქართველმა თუ წარსულის ამბები არ გადმოაღაგა, დღევანდელისას რას ამბობს, ვერ გაუგებ“ - თავისივე სიტყვებს ამართლებს მწერა-

ლი. „ყოფითად, დიდი აღზნებისა და სადღეგრძელოების გარეშე“ მოყოლილი ამბების ოსტატია აკა მორჩილაძე.

განსაკუთრებულია მადონეს სახე, რომელიც ღრმა პრელუდიიდან ჩნდება ტექსტში და ორმაგი ბუნებით, კონტრასტული თვისებებით, არატიპურობით გამოირჩევა. ომდარიეს უმცროსი ქალიშვილი, რომელსაც ორი მოზრდილი ძმა ჰყავს, უდედოდ, ობლობაში გაიზარდა, ახალგაზრდობიდანვე ჯერ ქუთაისის ბაზარში ქურდობისთვის, მერე მორფინისტობისთვის დაიჭირეს. ციხიდან გამოსულს კი, როგორც ქურდებისა და ყაჩაღების უმრავლესობას, „დელეცები“ არჩენდნენ, მაშინ „დელეცების დრო“ იყო. მერე თოფოსანი ყაჩაღების ბანდას ჩაუდგა სათავეში და მხარის ნამდვილ მაკონტროლებლად იქცა. შავმანიკურიანი და რევოლვერიანი მადონე ამერიკული ფილმებიდან გადმოსულს ჰგავდა ირაკლის წარმოსახვაში და რას წარმოიდგენდა, რომ მასთან ერთად გახდებოდა დრამატული სცენების (რეალურისა თუ წარმოსახულის) მონაწილე. სწორედ მადონეს ფინალურმა გამოჩენამ, ფინალურმა სცენამ აქცია აკა მორჩილაძის „ობოლეს“ გამორჩეულ ტექსტად.

ირაკლის დაბრუნება წინაპრების სახლში (რაც იმთავითვე „მარადიული დაბრუნების“ ლიტერატურულ კონცეპტთან გაბრუნებს), საბედისწეროდ დაემთხვა ომდარიეს გარდაცვალებას. ყველა მიცვალებულის კრიმინალი ქალიშვილის გამოჩენას ელოდა, იცოდნენ, აუცილებლად მოინდომებდა მასთან დამშვიდობებას. მთელი რომანის მანძილზე, პაპისეული სახლის, მოგონებების გაცოცხლების, *ობოლეს* ზეგავლენით ირაკლი ისევ სცდება რეალურის ფარგლებსა და წარმოსახვითში გადადის. გარკვეულ მონაკვეთებში სიზმარ/ცხადი, რეალურ/იმაგინაციური ბუნებრივად ენაცვლება ერთმანეთს, მაგრამ კულმინაციას მაინც ფინალში აღწევს: ძველ საგვარეულო მაგიდას უჯდა ქალი ფრჩხილებზე აფხეკილი მანიკურით, შავ „ჯემპრსა“ და ჟილეტში, კოჭებამდე შავი კაბით, ორი თვის წინ შეღებილი თმით (ძირები რომ თეთრია, ზემოთ კი - მუქი სპილენძისფერი). „ვიდრე მარლბორო მადონედ გადამუშავდა ტვინში“ (მორჩილაძის სიტყვებით თამაში ამ რომანშიც გამოკრთება ხოლმე), თავად გააცნო თავი. „ბოზი და ჩათლახი“ მადონე აღსარებას აბარებს ირაკლის, კაცი არასდროს მინახავსო, ამბობს ქალი, რომელსაც ცამეტი წლიდან ბოზს ეძახდნენ. ისევე, როგორც ბაბუცასო, წამოსცდება ირაკლის. უხერხულია ბაბუცასა და მადონეს უმწიკვლების შედარება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჟილეტში გამოკერებული კაბურის, პლანის გაუთავებელი შეკეთება/მოწვის, ძაღვანებთან მოლაპარაკების უნარის მიუხედავად, მადონე მაინც მარტოსული, ოჯახსა და სიყვარულს, სიბოძს დანატრებული ქალია, რომელსაც ნორმალური ცხოვრება ენატრება. „ჩემი ცხოვრება ფიქრშიაო“, თითქოს სხვა პერსონაჟის სათქმელს ამბობს იგი. *ობოლეს* მსგავსად,

მადონესთანაც უჩნდება მოუხელთებელი სიახლოვის შეგრძნება მთავარ პერსონაჟს, ობოლე-მადონეს იდენტობის თემაც გაკრთება რომანში.

მამის დასატირებლად დაბაში შემოპარული ნაყაჩადარი ირაკლის სახლს შეაფარებს თუ არა თავს, ბუნებრივად წამოიჭრება სტუმარმასპინძლობის ასევე მარადიული თემა, მასპინძლის მარადიული დაჟინებით - „დღეს სტუმარია ეგ ჩემი“. მადონეს დასაჭერად მოსულ ძალოვნებს სამ მთავარ კითხვას უსვამს მურისციხელთა შთამომავალი: მე აქ აღარასოდეს ჩამოვიდე? და მური? და იქაც, სადაც ვიქნები, აღარ ვიფიქრო? „შენც არ ხარ მსროლელი, დოუმთავრებული ხარ,“ ეუბნება სამასი დოლარისთვის სამოცი წლის კაცის „დამაუთოვებელი“ (როგორც თავად აღიარებს) ქალი მთავარ გმირს.

წარმოსახვით, ფანტაზიით ამთავრებს ირაკლი ამბავს და მწერალიც ორმაგი ფინალის სამზადისშია. პირველის თანახმად, ხელაწეული სტუმარ-მასპინძელი, (მადონე-ირაკლი) ბარდებიან ხელისუფალთ - ისე, რომ ობოლე არც ამჯერად გაისვრის. მკითხველი ამ დრამატულ/ჰეროიკული დასასრულის გააზრებასაც ვერ ასწრებს, რომ ახალი რეალობის წინაშე დგება - მადონე თედოს შეთრევით ჯდება მანქანაში, ირაკლის კი ნათელიკე აღვიძებს.

ტრადიციულად, აქაც გვხვდება მწერლური რემარკები, მკითხველთან დიალოგი, გაშინაურება - „აი, ხომ ხელავ, როგორ ავიჭრები ხოლმე, გადავედი რაღაც აბურდულ აღწერებზე, თანაც ზოგადზე და ულამაზოზე, არ ვიცი, ეგ რატომ ხდება.“ საკუთარი თავის განქიქება, თვითირონია მკითხველის კეთილგანწყობას იმსახურებს, ეს ხერხი დღემდე რჩება პოსტმოდერნისტთა, მათ შორის აკა მორჩილაძის, ერთ-ერთ კოზირად. ამასთან, „ობოლეშიც“, ისევე როგორც მწერლის არაერთ ტექსტში, არათანმიმდევრული აღწერა, დეტალებით გატაცება ხშირია.

მწერალი მულტიპერსპექტიულ თხრობას იყენებს, „ობოლეშიც“ ჭეშმარიტების ინდივიდუალურ, სუბიექტურ კონსტრუქციას გვთავაზობს, თუმცა, სხვა რომანებისაგან განსხვავებით, აქ მეტია განზოგადება, ვრცელი და ღრმა კონტექსტი. ორიათასიანების დასაწყისში აკა მორჩილაძე ჩვეული ირონიით ამბობდა, რომ მისი რომანები რეტრორეალიზმს მიეკუთვნება, კრიტიკოსებსაც უჭირდათ მორჩილაძის მიკუთვნება ჯერ კიდევ გაურკვეველი ლიტერატურული მიმდინარეობისათვის. დღეს უკვე ცალსახაა, რომ აკა მორჩილაძე პოსტმოდერნიზმის კლასიკური ავტორია. „obOle“, ალბათ/იქნებ არ არის მწერლის საუკეთესო რომანი, მას ღირსეულ კონკურენციას სხვა ტექსტები გაუწევნ, თხრობაც ზოგან გაწელილია, ზოგან - ზედაპირული, მორჩილაძის ტექსტის მთავარი პრობლემა სწორედ არასტაბილურობაა, ამის მიმართაც ზედაპირული დამოკიდებულება აქვს, ერთ-ერთ ინტერვიუში წავიკითხე, ერთი ნაწარმოების 60 გვერდი არ დაიბეჭდა და ვერავინ მიხვდაო (თუმც, შეიძლება,

ზემოთქმული პოსტმოდერნისტთათვის დამახასიათებელი ხუმრობაც/გროტესკული მონასმიც იყო). „როგორც ქართველი“, სიზუსტესა და რომანის მთავარ მოთხოვნებს ბოლომდე ვერ მიჰყვება, ხშირია გაუმართავი წინადადება, ლაფსუსი. მთელ ტექსტში არის უხეში ორთოგრაფიული შეცდომები, მაგალითად, ყველგან წერია - „ვიდაცეები“, რაც დაბალი საგამომცემლო კულტურისა და წიგნის რედაქტირების დეფიციტის ბრალიცაა (თუ, რასაკვირველია, არამართებული ფორმა თავად პერსონაჟის მეტყველების პედალირებისათვის არაა მოხმობილი. ისიც უნდა ითქვას, რომ რომანში მწერლის ენა/რემარკები დიდად არ განსხვავდება პერსონაჟთა მეტყველებისაგან).

დასკვნა. „obOle“ არის ეპოქის ერთი გამორჩეული, ნაციონალური ნარატივი. სხვა რომანებისაგან განსხვავებით, ნაკლებად გვხვდება ეპატაჟი, შოუს ელემენტები, ეკვილიბრისტიკა, სკაბრეზი. აკა მორჩილაძის ეს რომანი ძალიან ჰგავს იმ ეპოქასა და ქვეყანას, რომელსაც ეძღვნება.

აზრობრივთან ერთად სტილური პერფექციონიზმი ევროპელ პოსტმოდერნისტებს ისევე ახასიათებთ, როგორც კლასიკური ეპოქის მწერლებს. ეს აკა მორჩილაძემ შესანიშნავად იცის. ევროპულ კულტურულ დისკურსში სრულფასოვან მოთამაშედ შესვლა სწორედ ამგვარი ლიტერატურით არის შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

მორჩილაძე (2011) აკა მორჩილაძე, obOle, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი;

მორჩილაძე (2021) აკა მორჩილაძე. ჩვენნაირად რომანებს მსოფლიოში არავინ წერს, აკა მორჩილაძე 55 წლის იუბილეს აღნიშნავს, ინტერნეტ გამოცემა SPUTNIK საქართველო, 2021/10/11. sputnik-georgia.com › 2021-110 › aka-morcilaze-55.